გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ასმათ ტალახაძის

2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის

ანგარიში

2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 214 საკითხის განხილვაში. 16 ბიუროს სხდომას და 336 საკითხის განხილვაში მივიღე მონაწილეობა.

გაერთიანებული ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოში". დავესწარი ფრაქციის 8 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 130 საკითხის განხილვაში.

ვარ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე. ჩავატარე კომისიის 8 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 12 საკითხის განხილვაში.

ასევე ვარ სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრი. დავესწარი სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 7 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 28 საკითხის განხილვაში.

მიმდინარე პერიოდის განმავლობაში სისტემატიურად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩეველს რა დროსაც გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემები, გამოვლენილ პობლემებზე მოვახდინე რეაგირება. გარდა ამისა პირადად მივმართე მერს მეჯვრისხევის და ახალუბნის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ სოფლებში არსებული პრობლემების შესახებ.

სისტემატიურად ვთანამშრომლობ ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მასმედიის საშუალებებთან მთელ რიგ პრობლემებთან დაკავშირებით. ამასთან აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვაში და პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ასმათ ტალახაძის ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

სოფ. მეჯვრისხევი 2019 წლის 21 ოქტომბერი.

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: მარლენ ნადირაძე;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: ასმათ ტალახაძე;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: მეჯვრისხევის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი ირინა შენგელია.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მარლენ ნადირაძე.

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრის ასმათ ტალახაძის 2021 წელის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით განვლილ პერიოდიში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი ასმათ ტალახაძე და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის სწესრიგის მიხედვით სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს ასმათ ტალახაძეს რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2021წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების

მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა ასმათ ტალახაძემ აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: ელზა გინტურმა, კახაბერ მღებრიშვილმა და ელიზა იარადალაშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: მარლენ ნადირაძე;

საკრებულოს წევრი : ასმათ ტალახაძე.